



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს
უწყებები

21

№ 13 (III)

10 სექტემბერი

1960 წელი

585

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

- 132. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ.
- 133. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა თაობაზე სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალდაკარგულად ცნობის შესახებ.
- 134. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მასწავლებლების და სახალხო განათლების მუშაკების სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.


ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

განყოფილება პირველი

- 35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ანტისაზოგადობრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

განყოფილება მეორე

- 36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
- 37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ ავიაციის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა თბილისის ს. ორჯონიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

132 სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ.

2. ჩაითვალოს ძალადაქარგულად სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 15 ივნისის დადგენილება „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის შესახებ დებულების დამტკიცებისათვის“ და დებულება სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების დაცვის შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ. 1927 წ., № 62, მუხლები 624, 625).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 5 აგვისტო.

დებულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის შესახებ

I. საერთო დებულებანი

მუხლი 1

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირის სახმელეთო და წყლის ტერიტორიის ფარგლებს. ვერტიკალური ფართი, რომელიც ამ ხაზზე გადის, წარმოადგენს სსრ კავშირის საჰაერო სივრცისა და წიაღის საზღვარს.

მუხლი 2

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი განისაზღვრება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებებითა და სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან მოქმედი ხელშეკრულებებით.

სახელმწიფო საზღვრის ადგილზე გაყვანა დაწესდება ოქმ-აღწერილობებით და სხვა სადერმაკაციო დოკუმენტებით.

მუხლი 3

სანაპირო ზღვის წყლები 12 საზღვაო მილის სივანით, რომელიც გამოითვლება ზღვის უდიდესი უკუქცევის ხაზიდან, როგორც მატერიკზე, ისე კუნძულების ირგვლივ ან სსრ კავშირის შიდა საზღვაო წყლების გარეგანი ზღვრის ხაზიდან, წარმოადგენენ სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებს. სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ცალ-

კეულ შემთხვევებში ტერიტორიული წყლების სიგანე შეიძლება სხვაგვარი.

ტერიტორიული წყლების გარეგანი ხაზი წარმოადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს ზღვაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვაო საზღვარი იმ უბნებზე, სადაც სსრ კავშირის ტერიტორიული წყლები ეკვრის მოსაზღვრე სახელმწიფოთა ტერიტორიულ წყლებს, დაწესდება სსრ კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეთანხმებების შესაბამისად, ხოლო ასეთი შეთანხმებების უქონლობის დროს— იმ პრინციპების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოთა საერთაშორისო პრაქტიკაში ან სწორი ხაზის მიხედვით. რომელიც აერთიანებს ზღვასთან სახმელეთო საზღვრის ორივე გამოსავალს.

მუხლი 4

სსრ კავშირის შიდა ზღვების წყლებს მიეკუთვნება:

- ა) სსრ კავშირის ნავსადგურების წყლები, შემოფარგლული ზღვის მხრიდან ხაზით, რომელიც გადის ზღვის მიმართულებით ნავსადგურების ყველაზე უფრო დაშორებულ ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა წერტილებზე.
- ბ) ყურეების, უბეებისა და ლიმანების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად ეკუთვნის სსრ კავშირს სწორ ხაზამდე, რომელიც გავლებულია ნაპირიდან ნაპირამდე იმ ადგილას, სადაც ზღვის მხრიდან პირველად იქმნება ერთი ან რამოდენიმე გასასვლელი, თუ თვითეულ მათგანის სიგანე არ აღემატება 24 საზღვაო მილს;
- გ) ყურეების, უბეებისა და ლიმანების, ზღვებისა და სრუტეების წყლები, რომლებიც ისტორიულად ეკუთვნის სსრ კავშირს.

მუხლი 5

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი სასაზღვრო სანაოსნო მდინარეებზე წესდება მდინარის მთავარი ფარვატერის ან ტალვეგის შუაზე, ხოლო არასანაოსნო მდინარეებზე—მდინარის ან მისი მთავარი ტოტის შუაზე, სასაზღვრო ტბებზე—ტბის შუაზე, ან სწორ ხაზზე, რომელიც აერთიანებს სახმელეთო საზღვრის ორივე გამოსავალს ტბის ნაპირებთან. სახელმწიფო საზღვარი, რომელიც გადის მდინარეზე ან ტბაზე, არ გადაიწვევს, როგორც ნაპირების მონახულობის ან წყლის დონის შეცვლის დროს, ისე მდინარის კალაპოტის გადაწვევის დროს ამა თუ იმ მხარეზე, თუ სხვა რაიმე არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებებით.

მუხლი 6

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი აღინიშნება აშკარა დასანახი სასაზღვრო ნიშნებით (სასაზღვრო ბოძები, პირამიდები, ყორღანები, ზვინულეები, ტივტივები, მიმართულების ნიშნები და სხვა).

სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების გარეგანი ზღვრის ხაზი ცალკეულ ადგილებში ორიენტირებისათვის შეიძლება აღინიშნოს ტექტივებით შესწავლებით.

II. სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი

მუხლი 7

სახელმწიფო საზღვრის რეჟიმი (საზღვარზე მიმოსვლა, სასაზღვრო ნიშნების მოვლა, საზღვარზე სამუშაოების წარმოება და ა. შ.) წესდება სსრ კავშირის კანონმდებლობით და სსრ კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეთანხმებებით.

მუხლი 8

სსრ კავშირის სახმელეთო და წყლების ტერიტორიაზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის ინტერესებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ან მისი დავალებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები საქირო შემთხვევებში აწესებენ სასაზღვრო ზონას და სასაზღვრო ზოლს.

სასაზღვრო ზონა, როგორც წესი, წესდება რაიონის, ქალაქის, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო ან სადაბო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებში, რომელნიც ეკვრიან სახელმწიფო საზღვარს. სასაზღვრო ზონის შემადგენლობაში, იქ, სადაც იგი წესდება, შედიან აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიული და შიდა საზღვაო წყლები და სასაზღვრო მდინარეების და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილი. სასაზღვრო ზონაში მყარდება სათანადო რეჟიმი.

სასაზღვრო ზოლის სიგანე სახელმწიფო საზღვრის ჯახიდან ხმელეთზე ან სასაზღვრო მდინარეების (ტბების) ნაპირებიდან არ უნდა აღემატებოდეს 2 კმ. ამ ზოლის ფარგლებში მესაზღვრე ჯარები ამყარებენ დამატებით სარეჟიმო შეზღუდვებს.

სასაზღვრო მდინარეების და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილი, აგრეთვე კუნძულები ამ მდინარეებზე და ტბებზე, რომლებიც სსრ კავშირს ეკუთვნიან, იმყოფებიან მესაზღვრე ჯარების განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ.

მუხლი 9

სსრ კავშირის შიდა საზღვაო და ტერიტორიული წყლების ცალკეულ უბნებზე კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებებით შეიძლება დაწესდეს რაიონები, სადაც მუდმივად ან დროებით აკრძალული იქნება გემების ნაოსნობა, მათი დგომა, აგრეთვე საზღვაო რეწვა. ასეთი რაიონების დაწესების შესახებ ცხადდება „იზვეშჩენია მორეპლავატელიამში“.

მუხლი 10

სასაზღვრო ზონის ფარგლებში იმ პირთა შესვლა, რომელნიც არ არიან ამ ზონის მუდმივი მცხოვრებნი, მილიციის ორგანოების ნებართვის გარეშე აკრძალულია, თუ არ არის დაწესებული სხვაგვარი წესი.

სასაზღვრო ზოლში შესვლა და იქ ცხოვრება შეიძლება მხოლოდ მესაზღვრე
ჩაგრების ნებართვით.



მუხლი 11

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე პირთა გაშვება ნებადართუ-
ლია მხოლოდ მაშინ, თუ მათ გააჩნიათ, დაწესებული და სათანადოთ გა-
ფორმებული დოკუმენტები სსრ კავშირის საზღვრებში შემოსვლის ან სსრ კავ-
შირიდან გასვლის უფლებით და წარმოებს მესაზღვრე ჩაგრების საკონტროლო-
გამტარებელი პუნქტების განლაგების ადგილებში.

საკონტროლო-გამტარებელ პუნქტებში წარმოებს აგრეთვე კონტროლი სა-
ზღვარზე ხელნაწერი მასალების და ბეჭდვითი გამოცემების გატანაზე.

მუხლი 12

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე ტვირთის, სხვაგვარი ქონებისა
და ფასეულობათა, აგრეთვე დიპლომატიური ფოსტის გაშვება წარმოებს
საბაჟო დაწესებულებების მიერ სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის და სპე-
ციალური ინსტრუქციების შესაბამისად.

სასოფლო-სამეურნეო და სატყეო პროდუქტები, მცენარეები, ცხოველები
და ფრინველი, აგრეთვე ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, გარდა საბაჟო
კონტროლისა, ექვემდებარებიან სამედიცინო-სანიტარულ, ვეტერინარულ და
ფიტო-სანიტარულ კონტროლს.

მუხლი 13

მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეთანხმებით შეიძლება დაწესებული
იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე გაშვების გამარტივებუ-
ლი წესი პირთათვის და მათი ტვირთის, სხვაგვარი ქონებისა და ფასეუ-
ლობისთვის. ასეთი გაშვება შეიძლება, როგორც საკონტროლო-გამტარებელ
პუნქტებში, ისე მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეთანხმებულ სხვა ად-
გილებშიაც.

მუხლი 14

რკინიგზით, წყლით, საჰაერო, საავტომობილო და სხვაგვარი მიმოსვლა
სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე ხორციელდება სსრ კავშირის კანონ-
მდებლობისა და სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების შესაბამისად.

სატრანსპორტო საშუალებანი, გარდა საჰაეროსა, გაიშვება საზღვარზე სა-
საზღვრო საკონტროლო-გამტარებელ პუნქტებში, ხოლო ყველა ტიპის საჰაერო
ხომალდები საზღვარს გადაკვეთენ დაწესებულ ადგილებში (საჰაერო ჰიშკარში).
ყველა საჰაერო ხომალდების გამოფრენა სსრ კავშირის ტერიტორიიდან, აგრე-
თვე მათი სსრ კავშირის საზღვრებში შემოფრენის დროს სახელმწიფო საზღვ-
რის გადმოლახვის შემდეგ დაჯდომა ნებადართულია მხოლოდ იმ აეროდრომებ-
ზე, სადაც არსებობს საკონტროლო-გამტარებელი პუნქტები საჰაერო ხომალდე-

მუხლი 15

უცხოეთის არასამხედრო გემები სარგებლობენ სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლების მშვიდობიანი გავლის უფლებით. მშვიდობიანი გავლის ქვეშ იგულისხმება ტერიტორიულ წყლებში ნაოსნობა მათი გადაჭრის მიზნით შიდა საზღვაო წყლებში შეუსვლელად ან შიდა საზღვაო წყლების გავლის ან შიდა საზღვაო წყლებიდან გაშლილ ზღვაში გამოსვლის მიზნით. გავლა ითვლება მშვიდობიანად, თუ გემები მიდიან ჩვეულებრივი სანავიგაციო კურსით ან კომპეტენტური ორგანოების მიერ რეკომენდებული კურსით, დაწესებული რეჟიმის დაცვით და იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს ნაოსნობისათვის აკრძალული რაიონები, რომელთა შესახებ გამოცხადებულია „იხვეშჩენია მორეპლავატელიამში“.

ნავსადგურების, უბეებისა და რეიდების ნუსხა, რომლებიც ღიაა უცხოეთის გემებისათვის, მათში შესვლისა და ყოფნის, სატვირთო და სამგზავრო ოპერაციების წარმოების, გემების ნაპირთან დაკავშირების, გემის ეკიპაჟის შემადგენლობის ნაპირზე გადმოსვლის, ამ გემებზე იმ პირთა ასვლის, რომელნიც არ ეკუთვნიან გემის ეკიპაჟს, და სხვა საკითხები, დაკავშირებული უცხოეთის არასამხედრო გემების შესვლასთან სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში, რეგლამენტირებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, „იხვეშჩენია მორეპლავატელიამში“ და სხვა ოფიციალურ გამოცემებში გამოქვეყნებული კომპეტენტური ორგანოების სპეციალური წესებით და ინსტრუქციებით.

მუხლი 16

უცხოეთის სამხედრო გემები გაივლიან სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებს და შედიან მის შიდა საზღვაო წყლებში სსრ კავშირის მთავრობის წინასწარი ნებართვით „იხვეშჩენია მორეპლავატელიამში“ გამოქვეყნებული იმ წესით, რომლითაც გათვალისწინებულია უცხოეთის სამხედრო გემების სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში ნაოსნობა.

უცხოეთის წყალქვეშა ნავები, რომელთა ყოფნა სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში ნებადართულია, უნდა იმყოფებოდნენ წყალზევით.

მუხლი 17

უცხოეთის სამხედრო და არასამხედრო გემები სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში ყოფნის დროს ვალდებული არიან შეასრულონ ამ წყლებში ნაოსნობისა და ყოფნისათვის დაწესებული სანავიგაციო, რადიოტელეგრაფული, ნავსადგურის, საბაჟო, სანიტარული და სხვა წესები.

უცხოეთის არასამხედრო გემები, რომელნიც განიციდან გასაჰიოს, სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებზე მშვიდობიანი გავლის წესების იძულებითი დარღვევის შემთხვევაში მოვალენი არიან აცნობონ ამის შესახებ ახლობელ საბჭოთა ნავსადგურის ხელისუფალთ. გასაჰიოსის შესახებ ყალბი სიგნალის მიცემა სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებში უკანონო შესვლისა ან ამ წყლებში ყოფნის მიზნით, განიხილება როგორც სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევა. გემები, რომელნიც ასეთ სიგნალს მიცემენ დაკავებული იქნებიან.

მუხლი 19

საზღვაო რეწვის წარმოება (თევზის, კობორჩხალის ქერა, ზღვის ნადირის დახოცვა და ყოველგვარი სხვა რეწვა) სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში უცხოეთის გემებს ეკრძალებათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი რეწვა ნებადართულია სსრ კავშირის სათანადო სახელმწიფოებთან შეთანხმებებით. უცხოეთის გემებს ეკრძალებათ აგრეთვე აწარმოონ აღნიშნულ წყლებში ჰიდროგრაფიული სამუშაოები და გამოკვლევები.

უცხოეთის გემები, რომლებიც არღვევენ აღნიშნულ დებულებებს ან გააჩნიათ საზღვაო რეწვის ნებათვა, მაგრამ აწარმოებენ მას დადგენილი წესების დარღვევით, დაკავებულნი უნდა იქნან, ხოლო ამაში დამნაშავე პირები პასუხს აგებენ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20

ნაოსნობა, თევზის ქერა, ხე-ტყის დაცურება, წყლით სარგებლობა და სასაზღვრო მდინარეებზე და ტბებზე სხვადასხვა ჰიდრონავიგაციითა მოწყობა ხორციელდება და რეგულირდება სსრ კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან ხელშეკრულებების საფუძველზე. ასეთი ხელშეკრულებების უქონლობის დროს ნაოსნობა, თევზის ქერა, ხე-ტყის დაცურება და წყლით სარგებლობა სასაზღვრო მდინარეებისა და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში დაიშვება მესაზღვრე ჯარებთან შეთანხმებით კომპეტენტური ორგანოების მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. ასეთივე წესით შეიძლება სხვადასხვა ჰიდრონავიგაციითა ავება, რომლებიც არ შეცვლიან მდინარის წყლის რეჟიმს.

მუხლი 21

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე ყოველგვარი საფოსტო გზავნილების გადაგზავნა (წერილების, ბანდეროლების, ამანათების და ა. შ.) წარმოებს სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან ფოსტის გაცვლის შესახებ შეთანხმებათა შესაბამისად.

საერთაშორისო სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის კავშირის საზღვარზე, ასეთი კავშირგაბმულობის ხაზების გასინჯვა და რემონტი, აგრეთვე საზღვარზე გასულ აირსადენების, ნავთობსადენების და ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობა, რემონტი და ექსპლუატაცია ხორციელდება სსრ კავშირის მოქმედ კანონმდებლობისა და სხვა სახელმწიფოებთან დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

მუხლი 23

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე საბაჟო, სამედიცინო-სანიტარულ, ვეტერინარულ და ფიტო-სანიტარულ კონტროლს შესაბამისად ახორციელებენ საგარეო ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროების ორგანოები. ხოლო საზღვრისპირა რკინიგზის სადგურებში სამედიცინო-სანიტარულ კონტროლს ახორციელებს გზათა სამინისტრო-მოქმედი კანონმდებლობისა და სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების საფუძველზე. აღნიშნული სამინისტროები მესაზღვრე ჯარებთან, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით გამოსცემენ ყველასათვის საკალდებულო საბაჟო, სამედიცინო-სანიტარული, ვეტერინარული და ფიტო-სანიტარული კონტროლის განხორციელების წესს.

ამ ამოცანების განსახორციელებლად იქმნება საბაჟო დაწესებულებები, ვეტერინარული და სანიტარულ-საკარანტინო პუნქტები, რომლებიც მოთავსდებიან მესაზღვრე ჯარების საკონტროლო-გასატარებელი პუნქტების განლაგების ადგილებში.

სსრ კავშირის ან მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით საშიში ინფექციების გავრცელების საშიშროების წარმოშობის შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოების შეთანხმებით საშიშ უზნებზე საზღვარი შეიძლება დროებით დაიხუროს, აგრეთვე შეიძლება დაწესდეს კარანტინი ხალხისათვის, პირუტყვისათვის, ტვირთისა, სათესლე, სანერგე და სხვა მასალისათვის.

მუხლი 24

სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის საკითხებზე შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად სასაზღვრო საკითხებზე სსრ კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან სხვა შეთანხმებების შესასრულებლად, აგრეთვე სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე წარმოქმნილ სასაზღვრო ინციდენტების მოსაწესრიგებლად, მესაზღვრე ჯარების ოფიცერთაგან ინიშნებიან სსრ კავშირის მესაზღვრე წარმომადგენელნი (მესაზღვრე კომისრები, მესაზღვრე რწმუნებულნი, მათი მოადგილეები და თანამემწენი).

სსრ კავშირის მესაზღვრე წარმომადგენელნი თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კანონმდებლობით, სასაზღვრო საკითხებზე

სსრ კავშირის სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებებით და სპეციალური ტრუქციებით.



მესაზღვრე წარმომადგენელთა მიერ მოუწესრიგებელი საკითხები გადაიჭრება დიპლომატიური წესით.

მუხლი 25

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის იმ უბანზე, სადაც არ არიან სპეციალურად დანიშნული მესაზღვრე წარმომადგენელი, მათ ფუნქციებს ასრულებენ მესაზღვრე ჯარების ნაწილების კომანდირები, რომლებიც მოქმედებენ განსაკუთრებული მითითების საფუძველზე.

მუხლი 26

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დამრღვევად ითვლებიან:

ა) ის პირნი, რომლებიც გადმოვიდნენ, გადმოლახეს, გადმოფრინდნენ ან ცდილობდნენ გადმოსულიყვნენ სახელმწიფო საზღვარზე გადმოსასვლელად დაუწესებელ სასაზღვრო პუნქტებში, ან თუნდაც გადმოსასვლელად დაწესებულ პუნქტებში, მაგრამ არაქანონიერი გზით;

ბ) ის პირნი, რომლებიც აღმოჩნდებიან სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სასაზღვრო მდინარეების და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში მცურავ საშუალებებზე ან მცურავნი მათ გარეშე, თუ ისინი უქანონოდ შემოიჭრნენ ამ წყლებში ან უქანონოდ ცდილობენ დატოვონ მათი ფარგლები;

გ) უცხოეთის სამხედრო და არასამხედრო გემები, რომლებიც შემოვიდნენ სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სასაზღვრო მდინარეებისა და ტბების წყლის საბჭოთა ნაწილში შემოსვლის დადგენილი წესების დარღვევით;

დ) საჰაერო ხომალდები, რომლებიც გადმოკვეთენ სსრ კავშირის საჰაერო სივრცის საზღვარს, თუ მათ არა აქვთ კომპეტენტური საბჭოთა ორგანოების ნებართვა საზღვარზე გადმოფრენის და სსრ კავშირის სახმელეთო და საზღვაო ტერიტორიაზე ფრენისა, ან თუნდაც აღნიშნული ნებართვის მქონენი, მაგრამ საზღვარზე გადმოფრენილნი დაუდგენელ ადგილას ან ფრენის სიმაღლის დარღვევით.

მუხლი 27

ის პირნი, რომლებმაც დაარღვიეს ან ცდილობდნენ დაერღვიათ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, აგრეთვე ის პირნი, რომლებმაც გადმოიტანეს ან ცდილობდნენ გადმოეტანათ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე შემოსატანად და გასატანად აკრძალული საგნები, მასალები, ვალუ-

ტა ან სავალუტო ფასეულობანი, აგრეთვე მათი თანამონაწილენი დაკავებულ
უნდა იქნან და მიეცნენ პასუხისმგებაში თანახმად სსრ კავშირისა და მოკავშირე
რესპუბლიკების კანონმდებლობისა.

მუხლი 28

საზღვარგარეთ მონაოსნე საბჭოთა ხომალდების კაპიტნები, რომლებ-
მაც ამ ხომალდებზე დაუშვეს იმ პირთა უკანონოდ ყოფნა, რომლებიც
არ შედიან მათი ეკიპაჟის შემადგენლობაში ან არ არიან მგზავრები, ამისათვის
პასუხს აგებენ.

III. სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვის წესი

მუხლი 29

სსრ კავშირის სახმელეთო და საზღვაო საზღვრების დაცვა დაკისრებული
აქვთ მესაზღვრე ჯარებს, ხოლო სსრ კავშირის საჰაერო სივრცის საზღვრისა —
ჰაირსაწინალო თავდაცვის ჯარებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვისას მესაზღვრე ჯარები და
ჰაირსაწინალო თავდაცვის ჯარები ხელმძღვანელობენ სსრ კავშირისა და მოკავ-
შირე რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის სხვა სახელ-
მწიფოებთან შეთანხმებებით, შესაბამისი ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითი-
თებებით, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წესდებებით.

მუხლი 30

იცავენ რა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარს, მესაზღვრე ჯარები, ხო-
ლო სათანადო შემთხვევებში, ჰაირსაწინალო თავდაცვის ჯარები, ასრულებენ
შემდეგ ამოცანებს:

ა) იგერიებენ საბჭოთა ტერიტორიაზე ჯარების ჯგუფებისა და ბანდების
შეიარაღებულ შემოჭრას და იცავენ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზღვ-
რისპირა მოსახლეობას და სოციალისტურ და პირად საკუთრებას;

ბ) აღკვეთენ სახელმწიფო საზღვრის გადმოსვლას (გადმოლახვას, გადმოფ-
რენას) დაუწესებელ ადგილებში ან უკანონო გზით;

გ) აკავებენ სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთ;

დ) ახორციელებენ დაწესებულ ადგილებში იმ პირთა გატარებას, რომლე-
ბიც შემოდიან სახელმწიფო საზღვარზე გავლით;

ე) უზრუნველყოფენ სასაზღვრო ნიშნების დაცულობას და სსრ კავშირის
სახელმწიფო საზღვრის ხაზის სათანადო მოვლას;

ვ) საბაჟო ორგანოებთან ერთად აღკვეთენ შემოსატანათ და გასატანათ აკრ-
ძალულ საგნების, მასალების, ვალუტისა და სავალუტო ფასეულობის საზ-
ღვარზე გადატანას;

ზ) მილიციის ორგანოებთან ერთად კონტროლს უწევენ სასაზღვრო რეჟი-
მის წესის შესრულებას;



თ) ხელს უწყობენ თევზის ჭერის ზედამხედველობის ორგანოებს სსრკ-ის შიდა საზღვაო მდინარის სიმდიდრის დაცვაში იმ გემების მიერ დატაცებისა და ტერიტორიულ, შიდა საზღვაო წყლებში და სასაზღვრო მდინარეების და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში დადგენილი წესის დარღვევით;

ი) თვალყურს ადევნებენ სსრკ-ის კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლების საზღვრებში ყველა გემების მიერ ნაოსნობის იმ რეჟიმის დაცვას, რომელიც გამოცხადებულია „იხვეშიჩენია მორეპლოვატელიაში“.

მუხლი 31

სასაზღვრო ზონის, სასაზღვრო ზოლის ან ადმინისტრაციული რაიონის საზღვრებში, რომლებიც ეკვრიან სახელმწიფო საზღვარს, მესაზღვრე ჯარებს უფლება აქვთ:

ა) განალაგონ მესაზღვრეთა განწყესი და დადგან შლანგბათუმები გზებზე, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა დევნისა და დაკავების დროს გადაადგილდნენ ადგილმდებარეობის ყველა უბანზე, სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა დევნა შეიძლება მოცემული რაიონის, ზონის ან ზოლის გარეთ სსრკ-ის კავშირის ტერიტორიაზე;

ბ) სპეციალური მესაზღვრეთა განწყესით თან გაყენენ მატარებლებსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებებს;

გ) შეუშომონ საბუთები იმ პირთ, რომლებიც იმყოფებიან სასაზღვრო ზონაში ან სასაზღვრო ზოლში, ხოლო საზღვრის დამრღვევთა დევნისა და ძებნის დროს — მის ფარგლებს გარეთაც;

დ) დააკავონ და პასუხის საგებლად მილიციის ორგანოებს გადასცენ ის პირნი, რომლებმაც დაარღვიეს სასაზღვრო რეჟიმის წესი;

ე) უშუალოდ საზღვართან დროებით შეზღუდონ სხვადასხვა სამუშაოთა წარმოება, გარდა სსრკ-ის კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მშენებლობის საშუაოებისა; აგრეთვე სტიქიურ უბედურების ლიკვიდაციასთან დაკავშირებული სამუშაოებისა (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა);

ვ) საზღვრის დამრღვევთა ძებნისა და დაკავების დროს ისარგებლონ სსრკ-ის კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების არსებული სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის ხაზით ამ სამინისტროებისა და უწყებების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 32

სახელმწიფო საზღვრის დარღვევისას მესაზღვრე ჯარები სარგებლობენ მომკვლევო ორგანოების უფლებებით, აუცილებელ შემთხვევებში ღებულობენ ოპერატიულ საგამოძიებო ზომებს და ხელმძღვანელობენ რა სისხლის სამართლის საპროცესო კანონით ახორციელებენ გადაუდებელ საგამოძიებო ღონისძიებებს; დათვალაიერებას, გაჩხრეკვას, ჩამორთმევას, შემოწმებას, საზ-

ღვრის დამრღვევთა და მათ თანამონაწილეთა დაკავებას და დაკითხვას, აგრეთვე მოწმეთა დაკითხვას.

მუხლი 33

სასაზღვრო ზოლში მესაზღვრე ჯარებს უფლება აქვთ ააგონ სპეციალური ღობურები, ააშენონ ვახები, ხიდები, ხერგილები, ყორები და სხვა ნაგებობები, რომლებიც აუცილებელია მესაზღვრე ჯარების სამსახურისათვის, სატყეო მეურნეობის ორგანოებთან შეთანხმებით გააკეთონ განაკავები და გაწმინდონ ბუჩქნარი, ლელიანი და ბალახის ბარდები.

მუხლი 34

იქ, სადაც ხორციელდება ზღვების სანაპიროს, სასაზღვრო მდინარეების და ტბების ნაპირების დაცვა, საზღვრის დაცვის ინტერესებისათვის მესაზღვრე ჯარებს უფლება აქვთ, კოლმეურნეობების, საწარმოების და ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობების გათვალისწინებით აღკვეთონ:

ა) გაკურვა ნაპირიდან ხომალდებზე ან სხვა საცურავ საშუალებებზე და მიდგომა ნაპირზე ამისათვის დაუწესებელ ადგილზე ან სათანადო ნებართვის გარეშე;

ბ) ნაპირზე ცეცხლის გამოყენება და გაჩაღება, რომელიც შეიძლება მიჩნეული იქნას შეუქურად ან ნიშნად გემებისათვის;

გ) ნებართვის გარეშე ან დადგენილი წესის დარღვევით გემებისათვის ნიშნის მიცემა, ამ ნიშნების გამოკლებით, რომლებიც გამოწვეულია უბედურებით ზღვაზე;

დ) სიარული სანაპიროზე ან ყინულზე ამისათვის დაუდგენელ გზებზე და ბილიკებზე;

მუხლი 35

მესაზღვრე ჯარების გემებს და სხვა ხომალდებს სსრ კავშირის ტერიტორიულ, შიდა საზღვაო წყლებში და სასაზღვრო მდინარეების და ტბების წყლებში საბჭოთა ნაწილში საქმიანობის შემთხვევაში უფლება აქვთ ღამით დადგენილი განათების ვარეშე ნაოსნობისა. ამ შემთხვევაში ნაჩვენები ხომალდების კომანდირები ვალდებული არიან მიიღონ ზომები სხვა ხომალდებთან შეტაკების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 36

სსრ კავშირის ტერიტორიულ, შიდა საზღვაო წყლების, აგრეთვე სასაზღვრო, მდინარეების და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილის ფარგლებში უცხოეთის არა სამხედრო გემების მიმართ მესაზღვრე ჯარებს (გემებს და სხვა ხომალდებს) უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვონ გემს ეროვნული დროშის ჩვენება, თუ იგი აღმართული არ არის და გამოკითხოს ამ წყლებში შემოსვლის მიზანი;

ბ) წინადადება მისცეს გემს შეცვალოს კურსი, თუ ის მიემართება ნაოსნობისათვის დროებით ან მუდმივად აკრძალულ რაიონში;

გ) გააჩეროს გემი და მოახდინოს მისი გასინჯვა, როცა იგი იმყოფება ნაოსნობისათვის მუდმივად ან დროებით აკრძალულ რაიონში, მოძრაობს სსრ კავშირის ტერიტორიულ, შიდა საზღვაო წყლებში ან სასაზღვრო მდინარეების და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში ამისათვის დაწესებული ფარვატერების ან რეკომენდებული კურსის დარღვევით, ღრეფობს, ჩაშვებული აქვს ღუზა, არ პასუხობს გამოკითხვის ან კურსის შეცვლის ნიშნებზე, აგრეთვე ყველა სხვა შემთხვევებში, როცა გემი იმყოფება აღნიშნულ წყლებში, ამ დებულებით დადგენილი წესების დარღვევით ან იმყოფება რა ამ წყლებში კანონიერად, არღვევს მათში ყოფნის რეჟიმს.

გემის გასინჯვაში შედის გემისა და სანავიგაციო დოკუმენტების, ეკიპაჟის, მგზავრებისა და ტვირთის დოკუმენტების გასინჯვა, ხოლო აუცილებელ შემთხვევებში — გემის სათავსოების გასინჯვა.

იმ შემთხვევებში, როცა გასინჯვით დადგინდება, რომ გემი არ უნდა იქნას დაკავებული, მას შეიძლება მიეცეს წინადადება დატოვოს სსრ კავშირის წყლები;

დ) აუცილებელ შემთხვევებში მოათავსოს გემზე და თან აახლოს მესაზღვრეთა განწესი გემს ნავსადგურამდე ან ნავსადგურიდან სსრ კავშირის ტერიტორიული წყლების გარე საზღვრამდე;

ე) გემიდან ჩამოიყვანოს და დააკავოს ის პირნი, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით პასუხი უნდა აგონ სისხლის სამართლის წესით და გადასცენ ისინი შესაბამის ორგანოებს, ეს ზომები არ მიიღება იმ პირთა მიმართ, რომლებიც იმყოფებიან სსრ კავშირის ტერიტორიულ წყლებში გამავალ უცხოეთის გემზე და რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული გემის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლამდე, თუ გემი, მომავალი უცხოეთის ნავსადგურიდან, მხოლოდ გადის ტერიტორიულ წყლებში ისე, რომ არ შემოდის შიდა საზღვაო წყლებში;

ვ) ღვენოს და დააკავოს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი გემი. იმ შემთხვევაში, თუ ღვენა დაწყებულია სსრ კავშირის ტერიტორიულ ან შიდა საზღვაო წყლებში და მიმდინარეობს შეუწყვეტლივ, მესაზღვრე ჯარებს უფლება აქვთ გააგრძელონ იგი ვაშლილ ზღვაზეც ამ გემის თავის ან უცხოეთის ტერიტორიულ წყლებში შესვლამდე.

უცხოეთის სამხედრო გემების მიმართ ამ მუხლის დებულება არ გამოიყენება, არამედ მოქმედებენ განსაკუთრებული წესები.

მუხლი 37

სსრ კავშირის ტერიტორიულ და შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სასაზღვრო მდინარეებისა და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში მყოფი უცხოეთის ყოველგვარი არასამხედრო გემი შეიძლება დაკავებულ იქნას მესაზღვრე

ქარების გემებისა და სხვა ხომალდებისაგან და ბაღრაგით მოყვანილი უახლოეს ნავსადგურში ან ნავმისადგომში შემდეგ შემთხვევებში:

ეროვნული
მემორიალი

ა) როცა გემი იმყოფება „იზემჩენია მორეპლოვატელიამში“ გამოცხადებულ სანაოსნოდ მუდმივად ან დროებით აკრძალულ რაიონებში;

ბ) როცა გემზე ხდება ხალხის გადმოსხმა და ჩასხდომა, ტვირთის გადმოტვირთვა და დატვირთვა ამისათვის დაუწესებელ ადგილებში, თუ ასეთი მოქმედება ხდება კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე;

გ) როცა გემი უკანონოდ ეწევა საზღვაო (სამდინარო) რეწვას ან ჰიდროგრაფიულ სამუშაოებს და გამოკვლევებს სსრ კავშირის ტერიტორიულ, შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სასაზღვრო მდინარეებისა და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში;

დ) როცა ამ გემების ეკიპაჟის წევრები წინასწარი განზრახვით აზიანებენ სსრ კავშირის კუთვნილ სანავიგაციო დამცავ საშუალებებს, კავშირგაბმულობის კაბელებს ან სხვა წყალქვეშა და წყალზედა ობიექტებს;

ე) როცა გემის კაპიტანი არ წარმოადგენს გემისა და ტვირთის დაწესებულ საბუთებს;

ვ) როცა გემი არ ემორჩილება სსრ კავშირის სათანადო ხელისუფლების განკარგულებებს;

ზ) ყველა სხვა შემთხვევებში, როცა გემი სსრ კავშირის ტერიტორიულ, შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სასაზღვრო მდინარეებისა და ტბების წყლების საბჭოთა ნაწილში იმყოფება ამ დებულებით დადგენილი წესების დარღვევით, ან იმყოფება რა ამ წყლებში კანონიერად, არღვევს მათში ყოფნის რეჟიმს.

მუხლი 38

გემის გასინჯვა და დაკავებაზე სდგება აქტი რომელსაც ხელს აწერენ მესაზღვრე ქარების გემის ან სხვა ხომალდის კომანდირი და გასასინჯი ან დასაკავებელი გემის კაპიტანი. აქტი იწერება რუსულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ გასასინჯი ან დასაკავებელი გემის კაპიტანი მოითხოვს აქტის ასლს, ასეთი მას დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს. თუ აქტის ასლის დაუყოვნებლივ გაცემა ვითარების გამო შეუძლებელია, მაშინ იგი იგზავნება იმ მისამართით, რომელსაც უჩვენებს გასინჯული გემის კაპიტანი.

გემის დაკავების შემთხვევაში გემის კაპიტანს ჩამოერთმევა გემისა და ტვირთის ყველა დოკუმენტები, რომლებსაც გაუკეთდება საერთო აღწერადოკუმენტები აიკინძება, ზონარი გაეყრება, დადასტურდება მესაზღვრე ქარების გემის ან სხვა ხომალდის კომანდირის ბეჭდით და დაკავებული გემის კაპიტანის ბეჭდით და თან დაერთვის აქტს.

თუ გასინჯული ან დაკავებული გემის კაპიტანი მესაზღვრე ქარების გემის ან სხვა ხომალდის კომანდირის მოქმედებას თვლის არასწორად და არ ეთანხმება აქტის შინაარსს, მას შეუძლია თვით აქტში ან აქტზე ცალკე თანდართულ დოკუმენტში გააკეთოს შენიშვნა ყოველგვარ ენაზე, რომელიც მას სურს. იმ



მუხლი 39

მესაზღვრე ჯარები და ჰაირსაწინალო თავდაცვის ჯარები, ახორციელებენ რა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვას, იყენებენ იარაღს საბჭოთა ტერიტორიაზე შეიარაღებული თავდასხმის მოსაგერიებლად, აგრეთვე უფლება აქვთ გამოიყენონ იარაღი სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა მიმართ ხმელეთზე, წყალში და ჰაერში იმ შემთხვევებში, როცა დარღვევის შეჩერება ან დამრღვევის დაკავება სხვა საშუალებებით შეუძლებელია, ან დამრღვევთა მხრიდან ძალის გამოყენების საპასუხოდ.

მუხლი 40

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ყოველგვარი დახმარება გაუწიონ მესაზღვრე ჯარებს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დაცვაში.

ადგილობრივი, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმეწიფობით საზღვრის დაცვაში დასახმარებლად მესაზღვრე ჯარებს შეუძლიათ გამოიყენონ საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები საბჭოთა მოქალაქეები ნებაყოფლობის საფუძველზე და პირველ რიგში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმები, რომელთა შტაბების შემადგენლობაში შეყავთ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ადგილობრივი ორგანოს, აგრეთვე მესაზღვრე ჯარების წარმომადგენელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

ბრძანებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

133 სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა თაობაზე სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის უნახავ

„სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ“ სსრ კავშირის 1959 წლის 30 ოქტომბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 24 აგვისტო.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა თაობაზე სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“

ნ უ ს ხ ა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაპარგმნა ძალა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ“ სსრ კავშირის 1959 წლის 30 ოქტომბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით

5708

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1923 წლის 27 ივლისის დადგენილება „საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის სახელმწიფო მიწის ქონებათა იჯარით გაცემისაგან შემოსულ შემოსავლის 25% ადგილობრივ სალსარში გადაარიცხვის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1923 წელი, № 3, მუხლი 58) შემდგომი დამატებით (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1923 წელი, № 6, მუხლი 135).

2. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1924 წლის 4 აპრილის დადგენილება „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ბიუჯეტის 1924 წლის 1 ოქტომბრიდან სსრ კავშირის მთლიან ბიუჯეტში შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1924 წელი, № 4, მუხლი 125).


3. სსრ კავშირის ცაკის 1924 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება „სსრ კავშირის საფინანსო პოლიტიკის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1924 წელი, № 20, მუხლი 191).

4. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1925 წლის 16 იანვრის დადგენილება „მყარი ბიუჯეტის კვარტალური გეგმების შედგენის შესახებ წესის დამტკიცებისათვის“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 4, მუხლი 40).

5. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1925 წლის 27 მარტის დადგენილება „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიის შესახებ დებულების დამტკიცებისათვის“ და თვით დებულება (სსრ კავშირის კან. კრ., 1925 წელი, № 71, მუხლი 520).

6. სსრ კავშირის ცაკის 1926 წლის 25 აპრილის დადგენილება „ადგილობრივი ფინანსების შესახებ დებულების სამოქმედოდ შემოღებისათვის“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1926 წელი, № 31, მუხლი 198).

7. სსრ კავშირის ცაკის 1926 წლის 25 აპრილის დადგენილებით დამტკიცებული „დებულება ადგილობრივი ფინანსების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1926 წელი, № 31, მუხლი 199), შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1926 წელი № 31, მუხლი 201, № 67, მუხლი 509, № 76, მუხლი 603; 1927 წელი, № 2, მუხლი 21, № 9, მუხლი 86, № 47, მუხლი



480, № 48, მუხლები 493 და 494, № 51, მუხლი 510, № 52, მუხლი 522, № 57, მუხლი 567; 1928 წელი № 2, მუხლი 12, პუნქტები 6 და 7, № 6, მუხლები 45, მუხლი 403, განყოფილება II, პუნქტი 6, № 52, მუხლი 458, № 62, მუხლი 565, № 68, მუხლი 620; 1929 წელი № 5, მუხლი 41, № 9, მუხლი 88, № 15, მუხლი 119, № 17, მუხლი 143, № 26, მუხლი 231, პუნქტი 7, № 31, მუხლი 284, № 40, მუხლი 354, № 51, მუხლი 460, № 63, მუხლი 582, პუნქტი 15, № 56, მუხლი 613; 1930 წელი, № 8, მუხლი 92, № 32, მუხლი 349, პუნქტი 6, № 37, მუხლი 401, პუნქტი 4; 1934 წელი, № 52, მუხლი 405; 1935 წელი, № 18, მუხლი 144).

8. 34—37 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1927 წლის 17 თებერვლის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შორის მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-18 მუხ. ძალით დამტკიცებულ უნდა იქნენ მე-3 მოწვევის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 12, მუხლი 128).

9. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 25 მაისის დადგენილება „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ დებულების დამტკიცებისათვის“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 27, მუხლი 285).

10. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1927 წლის 25 მაისს დამტკიცებული „დებულება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 27, მუხლი 286), შემდგომი ცვლილებებით და დამატებებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 47, მუხლი 471, № 52, მუხლები 520 და 521, № 55, მუხლი 555; 1928 წელი, № 2 მუხლი 12, პუნქტები 3 და 5, № 35, მუხლები 316 და 318, № 44, მუხლი 393; 1929 წელი, № 3, მუხლი 19, № 26, მუხლი 231, პუნქტი 8, № 51, მუხლი 459, № 68, მუხლი 636; 1930 წელი, № 30, მუხლი 334, პუნქტი 3, № 32, მუხლი 349, პუნქტი 8, № 48, მუხლი 502, განყოფილება II, პუნქტი 7).

11. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 25 იანვრის დადგენილება „შუა-აზიის ეკონომიური საბჭოს ხარჯთაღრიცხვის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 8, მუხლი 67), შემდგომი ცვლილებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1932 წელი, № 15, მუხლი 85, პუნქტი 7).

12. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 29 თებერვლის დადგენილება „ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების უზრუნველყოფისათვის ზომების შესახებ 1927—1928 საბიუჯეტო წელში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 16, მუხლი 133).

13. 44—49 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1928 წლის 19 აპრილის დადგენილებისა „იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც მიღებული იქნა სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1-ელ და მე-3 სესიებს შორის პერიოდში და რაც, თანახმად სსრ კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-18 მუხლისა უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 მოწვევის მე-3 სესიის მიერ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 24, მუხლი 213).

14. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 30 აპრილის დადგენილება „სსრ კავშირის 1928—1929 წლის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და გატარების დაჩქარების შესახებ ღონისძიებებისათვის“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 25, მუხლი 218).

15. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 28 სექტემბრის დადგენილება „მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის სალარო შესრულების წესის შესახებ ქ. მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის ტერიტორიაზე“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 64, მუხლი 588).

16. 17, 18, 19 და 24 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილებისა „იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც მიღებული იქნა სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 და მე-4 სესიებს შორის პერიოდში და რაც, თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლისა, უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 69, მუხლი 645).

17. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 11 იანვრის დადგენილება „ლენინგრადის საეკპრო ნავსადგურის გადაყვანის შესახებ ფინანსობის ზოგად წესზე სსრ კავშირის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტით“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 8, მუხლი 75).

18. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 20 თებერვლის დადგენილება „სსრ კავშირის სოციალური დაზღვევის მთლიანი ბიუჯეტის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 16, მუხლი 132).

19. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 6 მარტის დადგენილება „საერთოსაკავშირო სახელმწიფო ბიუჯეტისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ბიუჯეტების სალარო შესრულებისათვის ცალკე ცენტრალიზაციური მიმდინარე ანგარიშების დაწესების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 16, მუხლი 134).

20. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 24 აპრილის დადგენილება „სსრ კავშირის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის სასალარო შესრულების შესახებ დებულების დამტკიცებისათვის“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 31, მუხლი 282).

